


თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე

სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ლუიზა გაბუნია

მედიცინის აკადემიური დოქტორი,

სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი



მაია გვიშიანი

მედიცინის აკადემიური დოქტორი,

სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი



მაკა მირზიაშვილი

მედიცინის აკადემიური დოქტორი,

სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი



კახა ბაკურიძე

სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტს საფუძვლად უდევს 90 წელზე მეტი ხნის ისტორია, როდესაც იგი 1919 წელს დაფუძნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცოლოგიის კათედრის სახით. 1930 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ კათედრა გადმოვიდაახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტში. დაარსების დღიდან 1943 წლამდე კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ვ. მოსაშვილი. შემდგომ წლებში ფარმაცოლოგიის კათედრის გამგეები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები, პროფესორები გ.ცქიმიანური (1943-1973წწ.), გ.გვიშიანი(1973-1979წწ.), დ.კვაჭაძე (1980-1983წწ.), გ.თურმანაული (1983-2002წწ.).2002-2006 წლებში სამედიცინო ფარმაცოლოგიის კათედრის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელად არჩეულ იქნა პროფ. ნ. გონგაძე, რომელიც 2006-2009წწ. იყო ამავე დეპარტამენტის ასციორებული პროფესორი. 2009 წლიდან დღემდე პროფ ნ.გონგაძე არის სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2006-2009 წლებში დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი ნ.ანთელავა, რომელიც ამჟამად ფარმაცოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შემდეგი აკადემიური პერსონალით:

- დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე
- ასოცირებული პროფესორი ლუიზა გაბუნია
- ასისტენტ პროფესორები: მაია გვიშიანი, მაკრინე მირზიაშვილი, კახა ბაკურიძე.

ამჟამად, საათობრივი ანაზღაურებით სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტში მოწვეულ პედაგოგებად მოღვაწეობენ: პროფ. თ. კეზელი, აკად. დოქტორი მ. ღვალაძე, აკად. დოქტორი მ. გოგოლაური, აკად. დოქტორი ხ. დოლიძე, აკად. დოქტორი მ. ღონღაძე; პედაგოგები: ქ. ჭირაქაძე, ა. არჩვაძე და მ. კუდუხოვა.

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით განხორციელებულია ექვსი და ამჟამად მიმდინარეობს ორი სადოქტორო პროგრამა. დეპარტამენტის კვლევითისაქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა კარდიოვასკულურ და ცენტრალურ ნერვულ სისტემზე მოქმედი საშუალებების ფარმაცოლოგია.

სამედიცინო ფარმაცოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან მოპოვებულია საგრანტო დაფინანსებები სამეცნიერო

პროექტებისთვის. დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო ფორუმებში, რეგულარულად აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჟურნალებში.

დეპარტამენტის ორგანიზებით რეგულარულად ტარდება სტუდენტური კონფერენცია ბაზისური და კლინიკური ფარმაკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

დეპარტამენტის თანამშრომლები არიან საქართველოს ფარმაკოლოგთა საზოგადოების წევრები, რომელიც თავის მხრივ კლინიკური ფარმაკოლოგიისა და ფარმაკოთერაპიის ევროპული ასოციაციის წევრია (EACPT) და ასევე, არიან სამედიცინო მეცნიერებათა საერთაშორისო ორგანიზაციის საზოგადოების (CIOMS) წევრები.